პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 28 მაისი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი ასკარი

№ 117 (815)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ3. სტრ.

## გავაუმჯობესოთ კედლის გაზეთი!

კედლის გაზეთის მნიშვნელობა ნაწილში მეტად დიდია. კედლის გაზეთი საუკეთესო მეგობარია წითელი-არმიის. ის ასწავლის მას სამხედრო დისციპლინას, ანვითარებს მასში კულტურულ თვისებებს, ეხმარება პოლიტიკურ განვითარებაში, ხელს უწყობს ნაწილის საბრძოლო უნარის აწევას და არსებულ სხვა და სხვა სახის ნაკლის გამოსწორებას. ყოველივე ამას კედლის გაზეთი აღწევს თვით ნაწილის ცხოვრების კონკრეტი, ცოცხალი ფაქტების აღნიშვნით და მათი სათანადო გაშუქებით. ამიტომაც კედლის გაზეთის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას, განსაკუთრებით მიმდინარე საზაფხო პერიოდში, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ნაწილების მიერ და უფროსი პარტუჯრედების მხრივ.

სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ჩვენი კედლის გაზეთები ვერ დგანან თავის მოწოდების სიმაღლეზე. მათ არ აქვთ როგორც ეტყვიან „სამხედრო სახე". შემდეგ, თითეული წერილი, თითეული შენიშვნა თუ ცნობა, რომელიც მოთავსდება კედლის გაზეთში უნდა ემსახურებოდეს საერთო მიზანს—წითელი-არმიის განმტკიცების საქმეს, ის არ უნდა იყოს აშენებული არა პირად ინტერესებზე, არამედ წითელი არმიის კეთილ დღეობიდან უნდა გამომდინარეობდეს. არა ყოველთვის ხდება ეს ასე.

საერთოდ ნაკლი ჩვენს გაზეთებს ბევრი აქვს, ჩვენ ამოცანას კი შეადგენს ყოველივე არსებული დეფექტები კედლის გაზეთში გამოვასწოროთ და გავხადოთ ის „შინაარსიანი, პოლიტიკურათ მომწიფებული, თავიდან ბოლომდი სამხედრო სულით გაჟღენთილი". ჩვენი მთავარი დაბრკოლება ამ მხრივ ის არის, რომ კედლის გაზეთების რედკოლეგიები ვერ არიან შესაფერისად მომზადებული, მათ ხშირად სრულიად არ იციან კედლის გაზეთის დანიშნულების და მიზნების შესახებ.

ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ნაწილის კომუჯრედებმა, რომლებიც არიან კედლის გაზეთის გამომცემლები. მათ აქედანვე უნდა შეუდგენ კედლის გაზე[illegible]ბას, თანახმად პოლიტ-სამმართველოს № 83 ბრძანებისა, სადაც მოცემულია კედლის გაზეთის რედაქტორების და კოლეგიის წევრების სამეცადინო პროგრამა. თვით ეს ბრძანება ამ დღეებში დაეგზავნება ნაწილებს.

კედლის გაზეთები უნდა გავაუმჯობესოთ!

პირველ ყოვლისა ეს კომუჯრედის საქმეა და თაოსნობა მას ეკუთვნის.

## ახალი რადიო-ამბები

### უსაფუძვლო საბუთი ანუ მორიგი პროვოკაცია.

„მორნინგ პოსტი" განმარტავს „დეილი ჰერალდში" მოთავსებულ წერილს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შესახებ და ამბობს, რომ ბრიტანეთის ვაჭრები უარს ამბობენ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაზე, ვინაიდან ისინი ბოლშევიკებში ხედავენ პირველ ყოვლისა პროპაგანდისტებს. გაზეთის სიტყვით საბჭოთა კავშირს არ უნდა ჰქონდეს კრედიტის იმედი ინგლისის ბანკებიდან, რამდენადაც ურყევი საბუთებია რომ უკანასკნელ რვა თვის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა დახარჯა 500.000 მეტი გირვანქა სტერლინგი ბულგარეთში კანონიერი წესწყობილების დასანგრევად,

### თეთრგვარდიელ დრუჟელოვსკის დაპატიმრება.

ბერლინში დააპატიმრეს ცნობილი თეთრგვარდიელი დრუჟელოვსკი, გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა ყალბი ბეჭდები, საბჭოთა და კომინტერნის დაწესებულებათა ბლანკები და აგრეთვე გამზადებული ყალბი საბუთები. სხვათა შორის მას აღმოაჩნდა ჯგუფში [illegible] მიყიდა ინგლისის რეაქციონურ გაზეთებს ყალბი საბუთი, თითქოს ქ. სოფიაში მომხდარი აფეთქება კომინტერნის მოწყობილი ყოფილიყოს. ეს სიყალბე ამას წინეთ გერმანიის კომპარტიის ცეკას ორგანომ „როტე-ფანემ" გამოაქვეყნა.

### ბულგარეთის რევოლიუციონერები ჩამოხრჩობილი იქნებიან.

ბულგარეთის მეფემ დაამტკიცა სასიკვდილო განაჩენი, რომელიც გამოიტანა ბულგარეთის სასამართლომ სოფიაში მოწყობილ აფეთქების საქმეზე ფრიდმანს, ზაგორსკისა და კოევს.

### საქმე გამორკვეულია.

ლიბერალ მაკსმა უარი განაცხადა ბელგიის საქმიანი კაბინეტის შედგენაზე. ის ცდილობს მთავრობის შედგენას სამი პარტიისაგან. მაგრამ ასეთი კომბინაცია მას არ გაუმართლდება, ვინაიდან ამ კაბინეტში მონაწილეობაზე, ცხადია, უარს იტყვიან კატოლიკები და სოციალისტები.

როგორც სჩანს დიდი გაჭიანურების შემდეგ შედგენილ იქნება კაბინეტი კათოლიკებისა და სოციალისტებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია პალატის დაშლა.

### ინგლისის საერთაშორისო პოლიტიკა.

ინგლისის მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ საფრანგეთის საგარანტიო ნოტის გეგმასთან დაკავშირებით ბრიტანეთის მთავრობას მოუხდება ფართედ დასვას საკითხი თავის საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ.

ხმებია, რომ ჩემბერლენმა უკვე წარადგინა მემორანდუმი, რომელშიაც გატარებული აქვს თავისი თვალსაზრისი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში.

### ინგლისის ფლოტი ბალტიის ზღვაზე.

ინგლისის მეორე კრეისერის ესკადრა და ნაღმოსანთა მიივნისს მოვა 4 კრეისერი და დარჩებიან იქ ივლისის შუა რიცხვებამდი, რის შემდეგ გაემგზავრებიან ოსლოში. 8 ივლისს ფლოტი დაბრუნდება ინგლისის წყლებში.

### ტერტლის შეკითხვა ინგლისის თემთა პალატაში.

თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა ტერტლმა შეიტანა შეკითხვა:

„იცის თუ არა ვაჭრობის სამინისტრომ, რომ ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკამ დიდძალი გუთანი დაუკვეთა კრუპის ქარხნებს ესენში, რომლის ნაწილი უკვე გაგზავნილ იქნა ტფილისში.

განზრახული აქვს თუ არა ბრიტანეთის მთავრობას გაავრცელოს საბჭოთა ვაჭრობაზე კანონი სავაჭრო შეღავათების შესახებ, რათა ინგლისის მანქანების მშენებელმა მრეწველობამაც მიიღოს ასეთი დაკვეთები".

ამაზე ვაჭრობის მინისტრის ამხანაგმა გინესმა უპასუხა უარყოფითად და გაიმეორა ბრიტანეთის მთავრობის უარი საბჭოთა კავშირის კრედიტების შესახებ.

### რევოლიუციონური რიგები ფართოვდება.

ჰავასის სააგენტოს ცნობით ქიმიური მრეწველობის მუშათა კავშირმა მარსელში დაადგინა გამოვიდეს შრომის რეფორმისტულ საერთო კონფედერაციიდან და შეუერთდეს უნიტარულ კონფედერაციას.

### ლაყბობა მთქნარებით.

ჟენევაში გაიხსნა ერთა ლიგასთან არსებულ საერთაშორისო შრომის ბიუროს კონფერენცია.

კონფერენციაზე გაიმართა კამათი ბიუროს თავმჯდომარის ალბერ ტომას მოხსენების გარშემო.

ამსტერდამის ინტერნაციონალის ვიცე-პრეზიდენტმა მერტენსმა განაცხადა, რომ ბიუროს მუშათა ჯგუფი დიდ მნიშვნელობას აძლევს მთავრობათა წარმომადგენლების მომავალ თათბირს 8 საათის სამუშაო დღის საკითხის გატარების შესახებ საკანონმდებლო წესით.

## დაიჭირეს ყალბი საბუთების მოხელე.

**პრავდას წერილი.**

აგერ რამოდენიმე კვირა გადის, რაც რომ ევროპის ეგრედ წოდებული საზოგადოებრივი აზრი პირდაპირ იხჩვება საზიზღარ და წაბილწული ტყუილების რწყევით „მოსკოვის", „საბჭოთა აგენტების" და „კომინტერნის გმირების" მიმართ, რათა გამოიყვანონ კომუნისტები საშინელ ბოროტმოქმედებათა და შარა-გზის ყაჩაღებად. ყველა, ვისაც არ ეზარება, პროვოკაციასა და ცილისწამებას ეწევა.

თუ რა ღირებულებისაა კომინტერნის ბოროტმოქმედების ეს „უტყუარი საბუთები", ამას აშკარად დაგვანახებს ის ცნობა, რომელსაც ვათავსებთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.

„ბერლინში დაიჭირეს ცნობილი თეთრგვარდიელი დრუჟელოვსკი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა კომინტერნისა და საბჭოთა დაწესებულებების ყალბი ბლანკები".

რას ნიშნავს ეს ცნობა?

თუ კომინტერნის მტრები არ გადააბრუნებენ ცნობას უკუღმა, თუ ისინი არ წარმოიდგენენ, რომ „გერმანიის ძალები კომინტერნის აგენტებს წარმოადგენენ", თუ რომ საქმე მართლაც აქამდის არ მივა, მაშინ ერთად ერთი დასკვნა უნდა იყოს შემდეგი: კაპიტალისტებმა თავის ხელით გაირტყეს მაგარი სილა და ყველას დასანახავად გამოაშკარავეს, თუ რა მერყევ ნიადაგზე აპირებდენ ისინი კომინტერნის წინააღმდეგ გამოლაშქრებას, თუ რა უსუსურ,-დრუჟელოვსკის ხუხულაზე აგებდენ ისინი ტყუილისა და სიყალბის კოშკს.

რა გარანტიაა იმის, რომ „დრუჟელოვსკის ფაბრიკა" მხოლოდ ერთია და არ არსებობს კიდევ მსგავსი ცილისწამებისა და პროვოკაციის „ქარხანა", რომლის სარდაფებიდან კომინტერნის მოსისხლე მტრები კვლავ ამოჰკრეფენ „უდავო საბუთებს?". არავითარი ასეთი გარანტია ცხადია, არ არის და არც შეიძლება იყოს. ჩვენ ერთობ გულუბრყვილონი ვიქნებოდით, რომ სერიოზულად მოგვეთხოვა კაპიტალისტური მთავრობებისაგან ასეთი გარანტია. მაგრამ დეე, ეხლა მაინც ბატონმა კაპიტალისტებმა იფიქრონ ამ საკითხზე:

რა ზნეობრივი ავტორიტეტი ექნება კომინტერნის წინააღმდეგ კამპანიას ამ „სამწუხარო" ამბის შემდეგ, რომელიც შეემთხვა დრუჟელოვსკის? არ ვფიქრობთ რომ ეს „მორალური ავტორიტეტი" ნოლს ზევით აშორდეს.

დრუჟელოვსკის ისტორია,—უფრო მეტად, ვინემ „ზინოვიევის წერილის ისტორია" გვიმტკიცებს ჩვენ, თუ როგორია ბოლოს-და-ბოლოს ყოველი დიდი პოლიტიკური ყალბი საბუთის ბედი,თუნდაც, რომ მის დასახმარებლად მუშაობდეს „განათლებული" დიპლომატიის ყველა საიდუმლო სარდაფები.

მაშ ასე ბატონებო, ანთხიეთ გესლი, იტყუილეთ, ამზადეთ ყალბი საბუთები, ჰორეთ ზღაპრები და სულელური არაკები კომინტერნის შესახებ, მაგრამ ფრთხილად! გაუფრთხილდით თქვენსავე ფარისევლურ ტყავს! გახსოვდეთ, რომ თქვენი ბნელი მოქმედება ჩვენ გამოგვქონდა წმინდა წყალზე, დღესაც ვააშკარავებთ და აწიც გამოვააშკარავებთ!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის შრომის სამინისტროს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ინგლისში 8 საათის სამუშაო დღე შემოღებულია ყოველგან, მაგრამ მთავრობა უცდის შრომის მინისტრების თათბირების შედეგებს, რომ დაამტკიცოს ვაშინგტონის შეთანხმება.

ბულგარეთის იუსტიციის მინისტრი ბობოშევსკი ამტკიცებდა, რომ ბულგარეთის მთავრობამ უკანასკნელ დროს ზომები იხმარა სოციალურ კანონმდებლობის საკითხში.

საფრანგეთის რეფორმისტულ კონფედერაციის ლიდერმა ჟუომ პროტესტი განაცხადა ვაშინგტონის შეთანხმების დამტკიცების დაგვიანებაზე.

გერმანიის მთავრობის წარმომადგენლი დაკმაყოფილდა მხოლოდ განცხადებით, რომ გერმანიაში მზადდება ახალი კანონმდებლობა შრომის შესახებ.

## ამუნდსენი დაიკარგა.

21 მაისს ნორვეგიიდან ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაფრინდა ექსპედიცია ორი ჰაეროპლანით ცნობილი მფრინავი—მოგზაური ამუნდსენის მეთაურობით.

დღემდის ამუნდსენის შესახებ არაფერი იციან, რაიც დიდ წუხილსა და მითქმა-მოთქმას იწვევს ნორვეგიაში.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

## სრულიად საკავშირო ყრილობის საბოლოო ანგარიში.

### ამხ. კამენევის მოხსენება.

26 მაისს მოსკოვის საბჭოს პლენუმის სხდომაზე სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობის საბოლოო ჯამის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კამენევმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხების გარჩევაში ფართე მონაწილეობას ღებულობდა ადგილებიდან მოსული დელეგატები.

შემდეგ ის შეეხო ყრილობის რეზოლიუციებს საბჭოთა აღმშენებლობის, მეურნეობისა და მრეწველობის გაძლიერების შესახებ, გადავიდა წითელი არმიის წარმატებებზე და განაცხადა: „ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, ჩვენ ყოველი ზომა უნდა ვიხმაროდ, რათა არ ჩამოვრჩეთ მტრებს“.

## ამხ. ტომსკის მოხსენება.

### საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის შესახებ.

25 მაისს ლენინგრადის პროფკავშირთა საგუბერნიო კრებაზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა პროფკავშირების თავმჯდომარემ ამხ. ტომსკიმ.

ტომსკი შეეხო პროფკავშირების დიდ მიღწევებს, და აღნიშნა აგრეთვე ნაკლულევანებანიც. კულტურული საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ ტომსკიმ განაცხადა, რომ უნდა გავაძლიეროთ მუშათა კლუბები და ვაქციოთ ისინი სკოლიდან მუშათა დასასვენებელ და გასართობ სახლად. კლუბებში დაშვებულ უნდა იქნას ცეკვა, თამაში, გასართობით,—ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ახასიათებს ცოცხალ და ჯანსაღ ადამიანს. ეს ნიშნავს იმას, რომ კავშირი უნდა იყოს მუშური არა მარტო ფაბრიკა—ქარხნებში, არამედ ფაბრიკა-ქარხნებს გარედაც.

## ამხ. სემაშკო მოდის კავკასიაში.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო მოდის ამიერკავკასიაში.

გუშინ ის იმყოფებოდა სამარაში, სადაც გზად შეიარა და დაათვალიერა რამოდენიმე საავადმყოფო.

## ზარალი სეტყვისაგან.

ვიტებსკის, ბორისოვსკისა და მინსკის ოლქებში დიდი ზიანი მიაყენა სეტყვამ ნათესებს.

ვიტებსკის ოლქში სეტყვამ დააზარალა 1.500 გლეხის ნათესი. ზოგიერთ ადგილებში გლეხები შეუდგა სეტყვისაგან დაზარალებულ რაიონების ხელახლა თესვას.

## რადიო სოფლად.

პუშკინის ოლქში, ოპოჩეცკის მაზრაში, ადგილობრივ ოლქის ორგანიზაციებმა მოაწყვეს თავიანთ ხარჯზე რადიომიმღები ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატებით. გლეხობა იკრიბება და უსმენს ყრილობების ანგარიშებს. გლეხთა საბჭოს ყრილობამ, რომელსაც აპარატით უსმენდა გლეხობა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

### უმცროს-უფროსობის წესი წითელ არმიის სამხედრო მოსამსახურეთა შორის.

წინად წითელ არმიაში სამხედრო მოსამსახურეთა უმცროს-უფროსობის წესის შესახებ ერთგვარი გაურკვევლობა და ბუნდოვანობა არსებობდა და ამიტომ ეს ბუნდოვანობა ხანდახან იწვევდა ზოგიერთ გაუგებრობას. ახალ „შინა სამსახურის დროებითი წესდების“ გამოცემით ყოველი ბუნდოვანობა და გაურკვევლობა მოსპობილ იქნა.

მეომარი და აგრეთვე მეთაური საჭიროა კარგად იცნობდეს და მტკიცედ ასრულებდეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ყველა წესდებებს, რომლებიც წარმოადგენენ სამხედრო მოსამსახურეებისათვის კანონს.

განსაკუთრებით კარგად უნდა იქნას შეთვისებული წესდების ის მუხლები, რომლებითაც განსაზღვრულია მეთაურთა, პოლიტიკურ, წითელ არმიელთა და წითელი არმიის სხვა შემადგენლობის ურთი-ერთ დამოკიდებულება.

„შინა სამსახურის დროებითი წესდების“ 9 მუხლში ნათქვამია, რომ „არმიის კარგი მოწყობა შესაძლებელია ყველა სამხედრო მსახურთა მოქმედების შეთანხმების პირობით და მოითხოვს ერთი მეორისაგან დაქვემდებარებას.

ამიტომ ყველა სამხედრო მსახური სამსახურის გამო ერთმანეთთან კავშირის დაჭერისას შეიძლება იყვნენ ერთნი მეორეებისადმი ხელმძღვანელნი ან ხელმძღვანებულნი.“

წესდების ეს მუხლი გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ არმიის კარგი მოწყობის გარეშე, სამხედრო მოსამსახურეთა ყოველი მოქმედების შეუთანხმებლად შეუძლებელია წითელი არმიის არსებობა. იმავე წესდებაში აღნიშნულია მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურ-პოლიტ შემადგენლობის, ადმინ-სამნეო და სავეტერინარიო შემადგენლობის პირთა კატეგორიები, რომლებიც თავიანთ თანამდებობის მიხედვით სამსახურის ურთი-ერთობაში სარგებლობენ წითელ-არმიელთა და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მიმართ ამა თუ იმ უფლებებით.

ასეთი მითითებანი საბოლოოდ სპობენ სხვა და სხვაგვარ შეხედულებასა და გაუგებრობას სამხედრო მოსამსახურეთა ურთი-ერთ დამოკიდებულებაში. დღეს წითელი არმიის მეომარმა იცის, რომ მისი ათეულის კომანდირი (უმცროსი მეთაური) მის მიმართ არის კომანდირი-უფროსი, ხოლო დანარჩენ რიგის ყველა შემადგენელთათვის-უფროსი.

საშუალო მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობა წარმოადგენს უფროსს უმცროსს მეთაურ-პოლიტშემადგენლობისა და მის თანაბარ ადმინისტრატიულ-სამნეო, სანიტარულ და სავეტერინარო შემადგენლობის მიმართ და სხვა.

ამ ამონაწერებიდან ცხადია თუ ვინ ვისთვის უფროსსა და კომანდირს წარმოადგენს. და დღეს მოსპობილი იქნება ის გაუგებრობა, რომელსაც, ხშირად ჰქონდა წინად ადგილი, როცა, მაგალითად, წითელარმიელი სხვა ლეგიონის ასეულის ან ოცეულის კომანდირს არ თვლიდა თავის უფროსად, რომელსაც უფლება აქვს მისცეს წითელ-არმიელს შენიშვნა. მოგონება. შთაგონება და სხვა.

ი. ბარ.

# ᲖᲔᲓᲛᲔᲢ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

(დასასრული).

### პარტდავალებები.

პარტიის და ახ. ლ. კ. კ. წევრებს ყველა ზემოაღნიშნული მომენტების დამატებით ევალებად აგრეთვე პარტმოვალეობების შესრულება. პარტმოვალეობების განაწილების დროს აქტიური ამხანაგები უფრო მეტად იტვირთებიან პარტდავალებებით, ვიდრე „პასიური“ ამხანაგები. პარტდავალებების განაწილების დროს, ისეთი ტენდენციური მიდგომა, როგორიც არის მაგალ. პარტიის წევრების დაყოფა „აქტიურებათ“ და „პასიურებათ“—უნდა მოისპოს. ის ვინც არის კომპარტიის ჭეშმარიტი წევრი, არასდროს არ შეიძლება პასიური იყოს. მიზეზი ამისა მხოლოდ იმაშია, რომ უჯრედის ბიუროები ან მდივნები არ ახდენენ პარტმოვალეობების თანასწორ განაწილებას, პარტიის ყოველ წევრის განვითარების მიხედვით. გადამსინჯავ კომისიების მუშაობამ დაგვანახა, რომ ესა თუ ის კომუნისტი „პასიური“ ყოფილა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბიურო არ აბამდა მას აქტიურ მუშაობაში. პარტდავალებების თანასწორ განაწილების შემდეგ არ ექნება ადგილი პარტ დატვირთვას და აგრეთვე აღმოიფხვრება სიტყვა „პასიური“.

### თვით განვითარების საკითხი.

სამხედრო ან პოლიტიკურ მეცადინეობის ჩატარების წინ პოლიტხელმა ან მეთაურმა წინასწარ უნდა მოემზადოს. ასეთივე მომზადება სჭირდება მას წრეებში და კრებებზე მოხსენებების გაკეთებისთვის. საჭიროა აგრეთვე ყოველ დღიური პრესის გადათვალიერება, თვითგანვითარება. სწორედ ეს თვითგანვითარებისკენ მუშაობა არ არის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული დანარჩენ სამუშაოთ ზედმეტ დატვირთვის გამო.

### ოჯახზე ზრუნვა.

ოჯახის მდგომარეობაზე ზრუნვა ახდენს გავლენას მუშაობის დატვირთვაზე. ვინ არ იცის, თუ რამდენ ძვირფას დროს კარგავს უფ პოლიტშემადგენლობა ბინის ძებნის დროს, ექიმის მოწვევაში და სხვა.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საჭიროა დასვენებაც და ოჯახისთვისაც რამოდენიმე დროს მონდომებაც.

### მაგალითები.

ზედმეტ დატვირთვის საკითხის სავსებით გაშუქებისთვის მოვიყვანთ ორ მაგალითს ჩვენ დივიზიიდან:

ერთ—ერთ ლეგიონის პოლიტხელი №, ამავე დროს არის კომუჯრედის ბიუროს წევრი, სამხკორთა მუშაობის ხელმძღვანელი ლეგიონის მასშტაბით, მეცადინეობს სამხკორთა წრეში, რომელსაც აგრეთვე უწევს ხელმძღვანელობას, „დობროქიმი“-ს მუშაობის ხელმძღვანელია, ათასეულის საკონსულტაციო ბიუროს წევრია, კომუჯრედის მიერ არის გამოყოფილი სამოქალაქო ორგანიზაციასთან კავშირის დასაჭერად, ისწრება პარტსკოლის [illegible] სხდომებზე, ატარებს საინსტრუქციო მეცადინეობას ჯგუფების ხელმძღვანელებთან, თავმჯდომარეა სარევიზიო კომისიისა, წევრია რაიონების შესწავლის კომისიისა, ხელმძღვანელობას უწევს ლენინის კუთხის მუშაობას, მეცადინეობს პარტსკოლაში, ესწრება პარტკრებებზე და სხვა.

იმავე ლეგიონის ოცეულის თავი №, კომუჯრედის მდივანია, ტანვარჯიშობის ხელმძღვანელია, კლუბის გამგეობის წევრია, არის საკონსულტაციო ბიუროს წევრი, საჰაერო ფლოტის უჯრედის ხელმძღვანელი; ყოველივე ამის გარდა ასრულებს თავის პირდაპირ მოვალეობას: სამწყობრო მეცადინეობას ატარებს წითელ არმიელებთან, მწვევამდელებთან და სხვა.

გაზეთ „პრავდა“-ში იყო მოყვანილი ერთი მაგალითი, რომელსაც პარტიულ ამხანაგს ქონდა დავალებული... 22 პარტდავალება. ასეთი გადახრის ნიშნები როგორც სჩანს ზემოაღნიშნულიდან ეტყობა აგრეთვე ჩვენს ნაწილებს. საჭიროა აგრეთვე ჩვენ სინამდვილეში საკითხის დეტალური შესწავლა და სისტემატიური და მუდმივი მუშაობა ამ მიმართულებით.

ამ საკითხის დადებით გადაჭრა მოხდება არა სამხედრო და პოლიტიკური მუშაობის შესუსტების გზით, არამედ განტვირთვის—ყველა უმნიშვნელო წვრილმანის მოსპობით. ასეთი ზომით ჩვენ ავამაღლებთ აგრეთვე მუშაობის ხარისხს.

### პრაქტიკული წინადადებები.

1. საჭიროა მიღწეული იქმნეს, რომ უფპოლიტშემადგენლობას [illegible] თავის მუშაობის მკვეთრი გეგმა.

2. ყოველგვარ კომისიების შემცირება.

3 ადგილებიდან დრ. გამოძახება მომუშავეებისა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

4. განტვირთვა პატარა უმნიშვნელო მუშაობისაგან და თვითმომქმედ ორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლება წითელ არმიელთა მასების და ათისთავების ფართედ ჩათრევის გზით.

5. უფპოლიტშემადგენლობის მიერ წითელ არმიელებთან სკოლის გარეშე მუშაობის რიგრიგობითი ჩატარება.

6. პარტდავალებების თანასწორ განაწილება პარტიის და ახ. კ. კ. წევრთა შორის.

7. ზედმეტ დატვირთვის საკითხის შესწავლა და მის დამუშავება თვით უფპოლიტშემადგენლობის კრებებზე და თათბირებზე, ზედმეტ დატვირთვის მიზეზების გამოსარკვევად. შესწავლა და მუშაობის დაყენება „შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის“ მიხედვით.

8. წითელ არმიელთა პრესაში ზედმეტ დატვირთვის საკითხის გაშუქება.

### დასკვნა.

**კარგათ მუშაობს ის, ვინც კარგად ისვენებს,** ამისათვის მეტი ყურადღება უნდა მიექციოს მეთაურის და პოლიტმომუშავის სამუშაო დროის მოწესრიგების საკითხს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხს გამოეხმაურება პრესაში ნაწილის მომუშავეები.

ი. რუდოვსკი.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲐ.

### სამხედრო—ქიმიური ნედლი მასალა საქართველოში.

თავისი ბუნებრივი სიმდიდრის სიუხვით საქართველო ერთი უმდიდრესი და უმდიდრესი ქვეყანაა მთელს დედამიწაზე. ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამოსალებ ნედლ მასალას, რომელიც აუცილებელი საჭიროა ქიმიური მრეწველობისათვის საერთოდ და კერძოდ სამხედრო—ქიმიური წარმოებისათვის.

ამ ჟამად ყველა ეს სიმდიდრეები გადის საზღვარ-გარედ და საქართველო ღებულობს გაცილებით ნაკლებს იმაზე, რაც შეეძლო ამ სიმდიდრეებს მიეცა მისთვის, რომ საქართველოში ყოფილიყო განვითარებული ქიმიური მრეწველობა.

მაგრამ ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ახალგაზრდა სახელმწიფოს, რომელმაც ეს—ეს არის დაიწყო დამოუკიდებლად ცხოვრება, ჯერ კიდევ არ აქვს საჭირო საშუალება (ქარხნები, აპარატებ და სხვა), რომ ეს სიმდიდრეები დამოუკიდებლად დაამუშაოს. ცხადია, ქიმიური მრეწველობა საქართველოში დროთა განმავლობაში განვითარდება, მით უმეტეს, რომ გარდა საჭირო ნედლი მასალისა საქართველოში მოიპოვება ამ მიზნისათვის სხვა საჭირო პირობა, როგორიცაა ჩქარი მდინარეები და სხვა, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან მიღებულ იქნას იაფი ენერგია. თავის ქვეყნისა და მის ქიმიურ მრეწველობის განვითარებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ ქვეყნის ყოველმა მოქალაქემ; ამისათვის კი პირველყოვლისა უნდა იცოდეს, თუ რა სიმდიდრის პატრონია მისი ქვეყანა, თუ რას შეუძლია იყოს მისი განვითარებისა და კეთილ-დღეობის საფუძველი.

ამიტომ რამოდენიმე წერილში ჩვენ განვიხილავთ ბუნებრივ (სათხრელ) ნედლი მასალის ზოგიერთ მთავარ სახეებს, რომლებიც აუცილებელია ქიმიური მრეწველობისათვის და იმავე დროს აუცილებელი საჭიროა ქვეყნის სამხედრო თავდაცვისათვის.

**მარგანეცი (შავი ქვა.).**

ჭიათურის ცნობილი მაღაროები ყოველ წლიურად იძლევიან დიდძალ შავ ქვას, რომელსაც შემადგენლობის მიხედვით ეწოდება პიროლუზიტი, მანგანიტი და სხვა.

ამ მადნიდან შეიძლება გამოჰყო წმინდა ლითონი—მარგანეცი, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ტეხნიკაში. ის იხმარება სხვა და სხვა შენადუღ ნივთების დამზადების დროს, განსაკუთრებით რკინასა და ფოლადთან შესადუღებლად, რომლებსაც ის აძლევს ბევრგვარ ტეხნიკურ თვისებას როგორიცაა სიმაგრე, გამწეობა, ჭიდვა და სხვა.

ამ მიზნისათვის წინად იხარჯებოდა ამოღებულ შავი ქვის 80 პროცენტამდი, ხოლო დანარჩენი იხმარებოდა ქიმიურ მრეწველობაში, როგორც მეტად ძვირფასი ქიმიური მასალა.

განვიხილოთ თუ რისთვისაა შავი ქვა საჭირო ქიმიურ მრეწველობაში.

ლ. ვორონოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუშაობა ლენინის კუთხეებში.

წითელი არმიის ნაწილებში ყველგან არის მოწყობილი ...ენინის კუთხეები, რომლის საქმიანობაში აღსანიშნავია უკა...ანკნელად მასში განყოფილებების გამრავლება და მუშაობის ...რთულება.

ხშირია შემთხვევა, რომ წითელ არმიელი ამა თუ იმ ...ემაზე მოუმზადებლობის გამო გაურბის ლენინის კუთხეებში ...ცადინეობას.

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ მუშაობამ მიიზიდოს წი...ელ-არმიელები და ნაყოფიც კარგი მოგვცეს?

ჩვენის აზრით ლენინის კუთხეებში უნდა ვერიდოთ სხვა ...ა სხვა განყოფილებებისა და წრეების გამრავლებას.

ლენინის კუთხეებში საკმარისი იქნება დარჩეს: პარტიის, ...თელი არმიის, მეცნიერული და ჩვენი ცხოვრების განყო...ილებები. სხვა დანარჩენი განყოფილებები და წრეები რო...რიც არის რემედასი, საჰაერო ფლოტი და სხვა, უნდა მოი...ნას ლენინის კუთხეებიდან და გატანილ უნდა იქნას ნაწი...ის კლუბში.

ამ საშუალებით, ჩვენის შეხედულობით უფრო მივაღწევთ ...ენს მიზანს და მუშაობაც დადგება თავის დონეზე.

ნ. წულაია.

## პარტიული ცხოვრება.

## ღირსეული სასჯელი.

ა. წ. 23 მაისს 1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისიის სხდომაზე, ...მელზედაც დაესწრნენ პარტ-კომისიის წევრები და კანდი...ატები, გარჩეულ იქნა ბორის პავლეს-ძე პოპოვის საქმე.

ამხ. ბ. პ. პოპოვი არის წ. არ. საარტილერიო ლეგიონისა. ...უშა-მჭედელი, დაბ. 1901 წ. კომ-პარტიის კანდიდატი 1925 ...ლიდან, რომელსაც ბრალდება დეზერტირობა და სახაზინო ...ნების გაფლანგვა.

ბორის პოპოვს ა. წ. 28 აპრილს ქონდა წინადადება მი...ემული, რომ გადაეჭედა ორი ცხენი და აგრეთვე ქონდა ...ცემული ლეგიონიდან 12 მან. ნახშირის საყიდლად. მან ...ენებთან ერთად გაიყოლა წ. მოლ. შაპოვალოვი; მაგრამ ...ის მაგივრად, რომ ცხენები გადაეჭედა და მიღებული ფუ...ით ეყიდა ნახშირი პოპოვი—შაპოვალოვთან ერთად მიდიან ...ფელში უნებართვოთ და მიღებულ ფულს კი ფლანგავს. ...ი დღის შემდეგ თავიანთი ნებით ბრუნდებიან ნაწილში.

პარტკომისიამ მასზე წაყენებული ბრალდება სცნო დამ...ტკიცებულად, და როგორც არა კომუნისტური მოქმედება ...მპარტიის კანდიდატისა, როგორც დეზერტირი და სახაზინო ...ნების გამფლანგველი, პარტკომისიამ ბორის პოპოვი გამო...ცხა კომპარტიის კანდიდატობისაგან.

ამჟამად პოპოვი მიცემულია პასუხისგებაში სამხ. ტრი...ნალის მიერ.

პარტკორი ს. კინწურაშვილი.

## ...ჯგუფების მუშაობა მიზანს აღწევს.

20 მაისს საღამოს 5 საათზე შესდგა მეხუთე ლეგიონის ...ლი ასეულის კომკავშირელების პირველი ჯგუფის მორიგი ...ცადინეობა.

მეცადინეობის შინაარსი იყო: კოოპერაცია და მისი მნი...ელობა მშრომელთათვის.

მეცადინეობა სწარმოებს ლაბორატორიული სისტემით, ...ც კარგ ნაყოფს იძლევა.

მეცადინეობაში ყველა ამხ-გი ღებულობს მონაწილეო...ს და გამოსთქვამს თავის აზრს, ყოველ საკითხის გარჩევაში.

თუ გავაგრძელებთ ასეთ მუშაობას და ყველა ამხ-გს ...ბამთ ყოველგვარ პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობაში, ...თი ჩვენ შევსძლებთ ჩვენს ნაწილში აქტივისტების წამო...ებას.

ვუსურვებთ ჩვენს ორგანიზატორს და მეცადინეობის ხე...მძღვანელს ამხ. ჩხაიძეს არ შეენელებიოს ეს მუშაობა.

სამხკორი: მ—სკი.

## ჩვენი ხელმძღვანელები ჩვენთან.

22 მაისს მეხუთე ლეგიონის მესამე ათასეულს ესტუმრენ ...რე ქ. მ. დივიზიის სამხკომი და პოლიტ-განყოფილების ...როსი ამხ. მარკაროვი და დივიზიის უფროსი ამხ. ქუთა...ლაძე, რომლებიც დაწვრილებით გაეცნენ ათასეულის შე...მადგენლობის საერთო მდგომარეობას.

მოსული უფროსი ამხანაგები ყოველ წვრილმანზე ეკით...ხებოდენ წითელ არმიელებს, რა აწუხებდათ მათ, რა უშლი...ხელს მუშაობას და სხ.

ამხ. მარკაროვმა ადგილობრივი სამაზრო კომიტეტის წა...რმადგენელის თანდასწრებით გაარჩია რამოდენიმე ანკეტა, იმ წითელ არმიელებისა, რომლებიც ითხოვენ კომპარტიის რიგებში შესვლას. ანკეტები განხილულ იქნა თითეულად, გამოძახებულ იქნა ყველა წითელ არმიელები, ვინც ითხოვდენ პარტიაში შესვლას, რის შემდეგ დამტკიცებულ იქნენ პარტიის კანდიდატებათ.

ამასთანავე ერთად ამხ. ქუთათელაძემ განუმარტა წითელ არმიელებს და უფ-პოლიტშემადგენლობას ის მოვალეობა და ამოცანები, რომლებიც შეეხებოდენ ცვალებად შემადგენლობის შეკრებას.

ათასეულის დათვალიერების შემდეგ სტუმრები გამოემშვიდობენ ათასეულის შემადგენლობას და წავიდენ ყაზარმიდან.

სამხკორი: ყულ·სკარელი.




## დავიჭიროთ ცოცხალი კავშირი გლეხობასთან.

(მეთაურთა სკოლა)

ქ. სურამში მისვლისთანავე სკოლის შემადგენელმა ყველა ორგანიზაციებმა განაახლეს თავიანთი პოლიტ-კულტურულ განმანათლებელი მუშაობანი. სკოლის ბიურო-კოლექტივმაც, საბანაკო პერიოდში მოჰკიდა ხელი საქმიან მუშაობას, შეადგინა სამთვიანი სამუშაო გეგმა საბანაკო პერიოდისათვის.

სამუშაო გეგმაში უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს სოფლად მუშაობას, გლეხებთან მჭიდრო კავშირს და სხ.

საზამთრო პერიოდის განმავლობაში მართალია ჩვენს პარტ-ორგანიზაციას ჰქონდა კავშირი სურამის რაიონის ახლო მდებარე სოფელთან, მაგრამ ჩვენ ორგანიზაციას საშუალება არ ჰქონდა ყოველთვის და მუდმივად ჰქონოდა სოფელთან კავშირი, ვინაიდან ამას ხელს უშლიდა მრავალი პირობები, უმთავრესად კი ის რომ შეფქვეშ აყვანილი სოფლები საკმაოდ იყვნენ დაშორებული ჩვენზე.

ჩვენ ვგზავნიდით წარმომადგენელს, ქ. თბილისიდან სურამში, ორ თვეში ერთხელ ინახულებდა სოფლის გლეხობას, რომლებსაც აცნობდა ჩვენს საქმიანობას და აგრეთვე იგებდა გლეხობის მდგომარეობას.

ბანაკად გასვლამ უჯრედს საშუალება მისცა, რომ მჭიდრო კავშირი დაეჭირა სოფელთან.

გლეხებიც გახარებულნი არიან ჩვენი იქ მისვლით.

სოფლის გლეხობა გვიშლის თავიანთ გულის ნადებს. მაგ. ს. ტეზერის გლეხობა გამოსთქვამს თავის წუხილს მასში, რომ მათ საბალახო მთა არ აქვთ, წინად თავადების კუთვნილი საბალახო მთა წაურთმევია მოსაზღვრე იმერეთის სოფლებს და ეს გლეხობა დარჩენილია უბალახოთ, და ითხოვენ თუ სად მიმართონ მთავრობას, რომ უკან დაიბრუნონ საბალახო მთა. ჩვენც დახმარებას დავპირდით შეძლების და გვარად.

გლეხობასთან მუშაობის დროს, საჭიროა ჩვენი ნაწილი იყოს ძალიან ფრთხილათ, რადგან ხშირად ვიცით შეპირება ისეთების, რომლის შესრულება აღემატება ჩვენს სინამდვილეს. ასეთი შეპირებით კი დაგვშორდება გლეხობა.

პარტკორი დ. ნამგალაძე.

## ყაზარმაში.

პირველი ლეგიონი.

პირველი ლეგიონის მეორე ასეული ამ ზაფხულს ყაზარმაში ატარებს, რადგან მას სულ ახალწვეულები ყავს.

ასეულს ჯერ საზაფხულო პროგრამა არ მიუღია, მაგრამ ის მაინც მეცადინეობს. 21 მაისს შესდგა კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ახალწვეულებში წერა-კითხვის მცოდნე და არა მცოდნეთა რიცხვი. კომისიამ მუშაობა დაასრულა 22 მაისს.

აღმოჩნდა რომ 133 ახალწვეულში, წერა-კითხვის მცოდნეა 30 წითელ არმიელი. მცირე მცოდნე 28 და სრულებით არა მცოდნე 75 წითელ არმიელი.

25 მაისიდან ახალწვეულებთან დაიწყება სისტემატიური მეცადინეობა წერა-კითხვის შესწავლასა და პოლიტგანათლებაში. იმავე რიცხვიდან დაიწყება სისტემატიური და ნორმალური მეცადინეობა სამხედრო საქმეში.

თოფები უკვე მიღებულია. ახალწვეულებმა თითქმის ისწავლე სწორება და მიბრუნმობრუნება. მხოლოდ ჯერ უჭირთ წყობილებით სიარული.

საერთოდ ეტყობათ ყოველ მათგანს რომ თითონვე მონდომებულნი არიან, მეთაურის თითეულ სიტყვას ხარბად ითვისებენ.

აღსანიშნავია რომ წვევამდეს მომზადება ახალ მოსულებს სუსტად გაუვლიათ.

აქ კი ყველანი ერთგულად შეუდგენ მუშაობას. უკვე თვე მიდის რაც ისინი ჩვენს ლეგიონში მოვიდენ, მხოლოთ ერთ დეზერტირობას ჰქონდა ადგილი, რომელზედაც მიღებულია საჭირო ზომები.

იმედს გამოვსთქვამთ რომ სულ მოკლე ხანში ჩვენი ახალწვეულები სავსებით წამოეწევიან ძველ წითელ არმიელებს.

სამხკორი შ. თელია.

## ახალი ძალები ჩვენთან.

(მე-6-ე ტერ-ლეგიონი.)

ჩვენს ლეგიონს სამხედრო პოლიტიკური სკოლის პირველი გამოშვების შემდეგ მიემატა ახალი ძალები, 7 პოლიტხელი, რომლებიც მოსვლის პირველ დღისთანავე ჩაებენ პარტპოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობაში. ლეგიონი ემზადება 1902 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის შესახვედრად, რისთვისაც გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს, რომელშიაც ჩვენი ახალი პოლიტხელებიც ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას. პოლიტ-სკოლაში მათ საკმაო ცოდნა შეიძინეს, როგორც პოლიტიკური ისე სამხედრო რომელსაც მოახმარებენ ჩვენი წითელ-არმიელების გათვითცნობიერების საქმეს.

უსურვებთ ახალგაზრდა პოლიტ-ხელებს ენერგიულ მუშაობას და იმ იმედის გამართლებას, რომელსაც მათზე ამყარებს როგორც ჩვენი დივიზიის პოლიტ-განყოფილება, ისე ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობა და წითელ-არმიელები.

სამხკორი ა—ნი.

## მოგვეცით ჩვენი ხვედრი.

2-რე არტლეგიონის მნეს საყურადღებოთ.

ჩვენს ლეგიონში დარჩენილი არიან ზოგიერთი წითელ-არმიელები, რომლებსაც არ მიუღიათ თავიანთი ხვედრი ტანსაცმელი. ჩვენი მნე ყოველ დღე პირდებათ ხვალ-ხვალო, მაგრამ დაპირებას ბოლო არ უჩანს. საკვირველია, რათ არ ურიგებენ ამ ამხანაგებს უკვე მიღებულ ტანსაცმელს?

რად არ აქცევენ ყურადღებას მათ ჩამოხეულ ტანისამოსს. საჭიროა მნემ სისრულეში მოიყვანოს თავისი ყოველდღიური დაპირება. ან რად შეადგენენ გამონაკლისს ეს ამხანაგები სხვა წითელ-არმიელებთან?

სამხკორი წითელი მელანი.

## მოგვაქციეთ ყურადღება.

მეორე საარტ-ლეგიონის პირველი საგაუბიცო ბატარეია დაცილებულია თავის ნაწილიდან. არ გვყავს ექიმი და არც სხვა რაიმე საექიმო დახმარება გვაწევა ვინმესაგან.

ჩვენი უფროსები ნაკლებად ზრუნავენ ამაზე. კარგი იქნება ამოიღებდენ ხმას და მოითხოვდენ ნაწილისათვის ექიმს თუ არა, სხვა ნაწილზე მიკედლებას მაინც საექიმო დახმარების გასაწევად.

ეს აუცილებელია.

წ. არმ. პაპაჩაშვილი.

## განა დასაშვებია ასეთი მოპყრობა?

13 მაისს ქუთაისის მაზრის სამხედრო კომისარიატის იმ ოთახში, სადაც მუშაობდა 1902 წ. დაბადებულ ახალგაზრდების ტერ-ნაწილებზე მიმწერი კომისია, სამსახურის გამო შემოვიდა ამავე კომისარიატის წითელ-არმიელი მიხ. ალფაიძე, რომელსაც ფეხზე ეცვა ჩვეულებრივ, წითელ-არმიელის „ბატინკები“. „ბატინკებს“ სიარულის დროს ჭრიჭინი გაქონდა.

ამას რომ შეხედა სამხკომის თანაშემწემ ცაგარეიშვილმა, რომელიც იმ დროს მიმწერ კომისიას თავმჯდომარეობდა, მიაძახა წითელ-არმიელს: „რას გააჭირვე საქმე ამ ჭრიჭინით, ფეხები მაღლა ასწი და ისე გაიარეო“. წითელ-არმიელმა გაკვირვებით დაუწყო ცქერა, ცაგარეიშვილმა კიდევ მიაძახა: „გადი გარეთ, რას მომჩერებიხარ, თორემ მოგაყოლებ ამასაო“ და წამოავლო პრესს ხელი.

წითელ-არმიელი უთქმელად გავიდა გარეთ.

ვერ გაგვიგია, რა დამნაშავეა აქ წითელ-არმიელი, თუ მისი „ბატინკები“ ჭრიჭინებს. ან და როგორ შეიძლება მიმართოს მეთაურმა წითელ-არმიელს ზემოხსენებული სიტყვებით.

ასეთი „აღზრდა“ წითელ არმიელებისა პირდაპირ დაუშვებელია.

მაყურებელი.

## ცვალებადების შესახვედრად ვემზადებით.

მეხუთე ლეგ. მესამე ათასეული.

ჩვენი ათასეული გამალებული ემზადება ცვალებად შემადგენლობის მისაღებათ, რომლებიც პირველი ივნისიდან თანდათან შეავსებენ ჩვენს რიგებს. შენობა უკვე შეკეთებული და გამშვენიერებულია მათთვის. დადგმულია შიგ სუფთა საწოლები და სხვა. ამნაირად წინასწარ ყველაფერი მზადდება. მთელი ათასეულის შემადგენლობა მოუთმენლად მოელის ახალ ძალებს, რომლებთან მეცადინეობა და მუშაობა კვლავ გამოაცოცხლებს ნაწილს.

სამხკორი ყუ...ისკარელი.

# უცხოეთის არმიებში.

**ინგლისური ახალი წყალქვეშა ნავი.**

ინგლისელების მიერ დამზადებულ ახალ წყალქვეშა ნავზე მოთავსებულია ოთხ დიუმიანი ქვემეხი, რომლიდანაც მხოლოდ მაშინ შეიძლება ბრძოლის წარმოება, როდესაც ნავი ნაწილობრივად არის ჩაძირული წყალში.

კოშკი, რომელზედაც მოთავსებულია იარაღი დაფარულია ფოლადის ჯავშნით, აქვს გემის მოყვანილობა და თავისუფლად ჰკვეთს წყალს. დამიზნება სწარმოებს წყალქვეშა მოთავსებულ სადგომიდან და მხოლოდ თვით გასროლა ხდება წყლის ზედაპირიდან.

ეს ნავი, თავისი შორს მსროლელი იარაღის გამო ერთი საშინელი შიშის მომგვრელთაგანი იქნება ზღვაზე წარმოებულ ომების დროს.

**ამერიკის (შეერთებულ შტატების) სანაპირო თავდაცვა.**

ამ ახლო მომავალში ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში დასდგამენ სანაპირო თავდაცვის მიზნისთვის ორ-ორ 406 კალიბრიან მძიმე იარაღებს შემდეგ ადგილებში: ნიუიორკში, ბოსტონში, გავაიის კუნძულებზე და პანამის არხის ორივე (წყნარსა და ატლანტიური ოკეანების) მხარეზე.

ამ იარაღებისა და მათი ყუმბარების სიდიდის შესახებ ამას წინადაც გვქონდა ცნობები მოთავსებული ჩვენ გაზეთში. ზოგიერთ დამატებითი ცნობებს ვათავსებთ ეხლა.

ჭურვი იწონის დაახლოებით ერთ ტონს და 18 ნახევარი კილომეტრის სიშორიდან სჭრის 30 სანტიმეტრის სისქე ჯავშანს. იარაღს შეუძლია მხოლოდ ჭურვების განსაღვრული რიცხვის გასროლა. ამის შემდეგ ზარბაზანი აღარ ვარგა. სახელდობრ ზარბაზნებს შეუძლიათ მხოლოდ 150 ჭურვის გასროლა.

# რადიოს მოყვარულთა კუთხე.

**როგორ შეიძლება თვით ააგო რადიოს მიმღები უკვე დამზადებული ნაწილებიდან.**

როგორც ვიცით რადიოს მოყვარულები ძლიერ გამრავლდენ მთელ საბჭოთა კავშირში. უცხოეთში რადიოს მოყვარულობა ხომ საყოველთაო მოვლენად არის გადაქცეული. ყველა სცდილობს რაც შეიძლება გაამარტივოს რადიო მიმღების კონსტრუქცია, რაც შეიძლება გაადვილებული იქნეს მისი მოწყობა ყველასათვის.

ჩვენში ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას უფრო დიდ მნიშვნელობას აწერენ და ყოველგვარ ზომებს ხმარობენ მის გასავრცელებლად. აქ თბილისშიდაც შეგიძლიათ შეამჩნიოთ ზოგიერთ სახლის თავებზე რადიოს მოყვარულთა მიერ დამზადებული ანტენები. ამის ნებართვას მთავრობა იძლევა. ამნაირად რადიოს მოყვარულობა აქაც იკიდებს ფეხს. სამხედრო ნაწილებში, თუ მას ყურადღებით და ინტერესით მოეპყრობიან პირდაპირ განუზომელი მნიშვნელობა ექნება.

ჩვენ შევეცდებით შევაჩვიოთ ჩვენი მკითხველები, თუ როგორ შეიძლება თითონვე მოაწყონ თავის ოთახებში რადიო მიმღები აპარატები.

ჯერ-ჯერობით ჩვენ აქ ავღნიშნავთ თუ რა ნაწილებისაგან შესდგება ეს აპარატი, და როგორ უნდა შეუერთოდ ერთმანეთს ეს ნაწილები.

რადიო მიმღები აპარატის ნაწილები შეიძლება შეიძინო კაცმა ცალ-ცალკე, მაშინ უფრო იაფი ჯდება.

აპარატის უმთავრესი ნაწილები შემდეგია:

კოჰი, რომელზედაც დახვეულია სპილენძის იზოლიაცია ქმნილი მავთული, გადასაკეტი ფიცარი, დეტექტორი, კონდერატორი, ყურთსასმენი მილი და ანტენა. ყველა ამით ჩვენ ცალ-ცალკე გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს შემდეგში.




ამ ჟამად კი ვათავსებთ დეტექტორის სურათს, რომელიც რადიო მიმღები აპარატის უმთავრეს ნაწილს შეადგენს.

**რადიოს მოყვარულთაგან დამზადებული დეტექტორები.**

რადიო მიმღების უმთავრეს ნაწილს შეადგენს დეტექტორი, რომლისაგანაც დამოკიდებულია მიღების გარკვეულობა. ამას გარდა ისეთი დეტექტორია საუკეთესო, რომლის მოხსნა შეიძლება მიმღები აპარატიდან და სურვილისამებრ მისი შეცვლა. ამ მიზნით დეტექტორები მზადდებიან „შტეპსელის“ მაგვარი ფეხებით, რომლებითაც მას ჩაურჭობენ რადიოს მიმღებში გაკეთებულ ნახვრეტებში. აქ გამოხატულია ორი დეტექტორი, რომლებიც ადვილად შეუძლია დაამზადოს თითეულმა რადიოს მოყვარულმა.

მათი დამზადების შესახებ შემდეგ გვექნება დაწვრილებითი საუბარი.

# ამბები სოფლებიდან.

— **საგლეხო მეურნეობის აღწერა.** ახალციხის აღმასკომმა გადასწყვიტა ახლო ხანში შეუდგეს საგლეხო მეურნეობის აღწერას.

— **სათემო ერთეულები.** ახალციხის აღმასკომმა მიზანშეწონილად სცნო მაზრის 20 სათემო ერთეულად დაყოფა.

— **შრომის არტელები.** ქუთაისის აღმასკომმა გადასწყვიტა ახლო ხანში შეუდგეს უმუშევარ ინვალიდთა შრომის არტელების მოწყობას.

# ახალი ამბები.

— **პოლიტგანყოფილებაში** ამჟამად ამუშავებენ ჯარში პარტ-პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის წარმოების გეგმასი რომელსაც ახლო ხანში დაუგზავნიან ნაწილებს.

— **მოწაფის სახლი.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა მომავალი შემოდგომიდან ტფილისში მოაწყოს მოწაფის სახლი.

— **ვენერიული ავადმყოფობა.** ჯანსახკომის ცნობით საქართველოში ყოველ 1000 ავათმყოფზე 14 ვენერიული ავათმყოფია.

— **ქარხნის გაფართოება.** საკონსერვო ქარხნის გაფართოების მიზნით ცეკავშირმა შეიძინა ქარხნისათვის ახალი მანქანები და საყუთე თუნუქი.

— **ხუთ წლიანი გეგმა.** ტფილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება შეუდგა მაზრაში სასოფლო-სამეურნეო მუშაობის ხუთ წლიანი გეგმას.

— **შავი ზღვის სანაპირო** რკინის გზის გაყვანის სამუშაოთა უფროსათ მთავრობამ დანიშნა ინჟ. თუმანიშვილი.

— **სკოლების გამოკვლევა.** განათლების კომისარიატი შეუდგა საქართველოში არსებულ ყველა შრ. სკოლების გამოკვლევას.

— **თივა სესხათ გლეხებს.** ცეკავშირმა მისცა ტფილისის მაზრის გლეხებს სესხათ 45 ათასი ფ. თივა.

— **ყრუ მუნჯთა ყრილობა.** კვირას, 31 მაისს მუშ. ცენტ. კლუბში გაიხსნება ყრუ-მუნჯთა კრება, საკავშირო ყრილობაზე დელეგატების ასარჩევათ.

## ხელოვნება.

— „ტარიელ გოლუა“ რუსულათ. იბეჭდება და ჩქარა გამოვა ლეო ქიაჩელის რომანი ტარ. გოლუა რუსულ ენაზე.

# აუცილებელი განმარტება.

**(პასუხად კორესპონდენციის ავტორს „ჩვენი ტრიბუნალის საყურადღებოდ“)**

გაზ. „წითელ არმიელი“-ს № 112-ში იყო მოთავსებული კორესპონდენცია ზემოაღნიშნულ სათაურით, რაზედაც საჭიროდ მიმაჩნია მივცე მოკლე განმარტება:

მოქ. ასათიანი მსახურებდა სამხედრო ტრიბუნალის მდივნად და იმ დროს მასზედ იქნა შემდგარი საქმე, რაზედაც ჰქონდა წაყენებული ს.ს.კ. 108 მ. 1 ნ. (ძველი რედაქციით). სასამართლომ ძიების დროს გამოარკვია, რომ ბრალდება გათვალისწინებული ს.ს.კ. 108 მ. 1 ნ. თუმცა ფორმალურად ჩადენილი იყო, ისიც ნაწილობრივ და არა მთლიანად ამომწურავი ს.ს.კ. 108 მ. 1 ნ. სასამართლომ თავისი ობიექტიური მსჯელობით იმდენად „მცირე დანაშაულად ჩასთვალა მოქ. ასათიანის მიმართ წაყენებული ბრალდება, რომ დაკმაყოფილდა და საკმაოდ მიიჩნია მისი თანამდებობიდან დათხოვნა.(ფაქტიურად ასათიანი დათხოვნილი იყო და გადაგზავნილი დივიზიის შტაბის განკარგულებაში) ე. ი. თანამდებობიდან (და არა სამსახურიდან) დათხოვნა გულისხმობდა, მხოლოდ იმ თანამდებობიდან მოხსნას და მას არ ჰქონია უფლებები შეზღუდული და არც საპატიმრო სასჯელი, რომელსაც გულისხმობს ს. ს. კ. 108 მ. 1 ნ. თუ ის იქნებოდა სავსებით შესრულებული. განაჩენი არ იყო ისეთ საფუძვლებზე აგებული, რომ წაერთმია საზოგადოთ ამა თუ იმ დაწესებულებაში სამსახურის უფლება და მოქ. ასათიანი გასამართლების შემდეგ მსახურებდა ქართ. მე-2-ე დივიზიაში მეთაურის თანამდებობაზე. რაც შეეხება იმას, რომ ასათიანი ვითომ „რაღაც მოხერხებით შეძვრა ტრიბუნალში“, ეს ასე არ არის, არამედ ის იქნა გადმოყვანილი მე-2 დივიზიიდან და ჩარიცხული ტრიბუნალში არა იმ თანამდებობაზე, რომელზედაც იყო წინედ, არამედ უბრალო ტეხნიკურ მომუშავედ.

მე მგონი უკეთესი იქნებოდა კორესპონდენტს საქმე უფრო დაწვრილებით გაეცნო, კარგად დარწმუნებულიყო თვით საქმის ვითარებაში და შემდეგ შესდგომოდა მსჯელობას.

ქ. ნ.

# პასუხი შეკითხვეზე.

**კითხვა.** მე ვმსახურებდი 1921 წლიდან წითელ არმიაში 1922 წლამდე 2 ქარ. ცხენ. ლეგ. შემდეგ სამხედრო სკოლაში, აქედან გადამიყვანეს 1 ქ. მსრ. ლეგიონში. შემდეგ კი გამანთავისუფლეს. 1924 წელში გამიწვიეს, გადამგზავნეს ლეგიონში, აქედან სკოლაში, სკოლის დასრულების შემდეგ კი ისევ ლეგ. ათისთავად. გთხოვთ გვიპასუხოთ, მხედველობაში მიიღება თუ არა წინანდელი სამსახური [...] კიდევ, რა ჯამაგირი ეძლევა თვიურად ათისთავებ[...]

ათისთავი **ნიკოლოზ არდაზიანი.**

**პასუხი.** სადაც კი მსახურებდით ჯარის ერთეულებში, ყვე[...] დრო ჩაგეთვლებათ, თანახმად სამხედრო რევ. სა[...] ჭოს 1924 წლის № 1266 ბრძანებისა. რაც შე[...] ხება მეორე კითხვას, ამის სავსებით გამორკვე[...] შეგიძლიათ ლეგიონის უფროსის სამნეო დარგ[...] თანაშემწესთან.

# აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 30.**

ოთხმოცი წლის მამა მყავს. ის ამხნის განმავლობა[...] ყოველთვის ზეიმით იხდიდა თავის დაბადების დღეს, როგო[...] კი მოაღწევდა ეს დღე. მიუხედავად იმისა, რომ ის ყოვე[...] თვის იხდიდა ამ დღეს, 80 წლის განმავლობაში მხოლოდ [...] ჯერ მოუწია დღესასწაულის გადახდამ.

რომელ თვეში და რიცხვში დაბადებულა მამაჩემი?

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. გრ. ბარათაშვილს.** თქვენი კორესპონდენცია წვრილმ[...]ნია, არ გავა.

**ამხ. ხელაიას.** კორესპონდენცია ტანსაცმელის ჩამორთმევ[...] შესახებ გადაეცა დივიზიის პოლიტ-განყოფილებ[...]

**ამხ. ს. იმნაიშვილს.** შამოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. შაბს.** თქვენი წერილი წვრილმანია. არ გავა.

**ამხ. შანშიაშვილს.** წერილები სწერეთ ქაღალდის ცალ გვ[...]რდზე და სუფთად, თორემ არ დაიბეჭდება.

**ამხ. ოგანოვს.** წერილი ფურნის შესახებ არ გამოდგა. მო[...] წერეთ ხშირად.

**ამხ. გოლოშვილს.** (არტდივიზიონი) შამოიარეთ რედაქციაშ[...]

**ამხ. წ. არ. ნოეს.** თქვენი წერილი „ბრძანება შევასრულო[...] თუ არა“ არ გავა. ბრძანება ყოველთვის უყოყმ[...]ნოთ უნდა შეასრულოთ.

**ამხ. ყუბლაშვილს.** ასეთი ხასიათის წერილი, როგორიც არ[...] ტყიბულის მაღაროების წვევამდელთა წერტის შ[...]სახებ. იყო ჩვენს გაზეთში. არ გავა. მოგვაწოდ[...] კორესპონდენციები.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის 1-ლი ას[...]ულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კო[...] პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ უპარტიო ა[...]ხანაგებს: 1. ჟვანია შალვა დიმიტრისძეს (ქუთაისის მაზრა სა[...]ტრედიის რაიონის სოფ. კულაში) 2. კისკეიძე ნიკოლოზ ო[...]როპირისძეს (ქ. ქუთაისი 1-ლი რაიონი ნინოშვილ[...] ქუჩა); 3. არჩუაშვილი ნიკოლოზ სოლომონისძეს, ახ. ლ. კ. წევრი. 1923 წ. (თელავის მაზ. ქ. თელავში) და 4. შონვაძე გ[...]ორგი იოსებისძეს (ქუთაისის მაზ. სოფ. დიდი ჯიხაიში) კო[...] პარტიის კანდიდატი 1924 წლიდან კომპარტიის წევრად გ[...] დასარიცხავად.

თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცის მათ შესახებ გთხოვ[...] გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში წერილობით ან სიტყვ[...]ერათ.

კომუჯრედის პას. მგებ. მდივანი **მესხი.**

# ამონაწერი.

ამონაწერი ბრძანებიდან ტფილისის გარნიზონისა და მ[...]სი რაიონებისადმი.

## № 38.

25 მაისი 1925 წ. ქ. ტფილის[...]

**გარნიზონის უფროსმა ბრძანა:**

**§ 1.**

გამოცხადებულ იქნას, რომ ხუთშაბათს, 28 მაისს, 1[...] საათზე, კ. წ. დ. ა. წითელი არმიისა და ფლოტის ბაღ[...] (პლეხანოვის ქუჩა № 73) ექიმი აკკერმანი წაიკითხავს ლექც[...] შემდეგ თემაზე:

**„ფსიქო—ფიზიოლოგიურ გამოკვლევის შესახებ“.**

გარნიზონის მთელი უფროს და საშუალო მეთაურ[...] და პოლიტშემადგენლობის დასწრება **სავალდებულოა.**

საფუძველი: რ.ესპ. რევსამხსაბჭოს ბრძანება—1923 წ[...] № 727.

დედ. ხელს აწ. ქალაქ ტფილისისა და მის რაიონების კომენდანტი **აბაშიძე.**

დედანთან სწორია საქმის მწარმ. თანამდებ. ამსრულებელი (ხელის მოწერა).

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**